



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27221785

თარიღი:27/06/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №34**

**27 ივნისი 2022 წ.**

**ქ. თელავი**

**„თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მე-7 თავის თანახმად,

1. გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოების ვადა - „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით.
2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2022 წლის 25 სექტემბრამდე.
4. „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად 2022 წლის 01 ოქტომბრამდე.
5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ.№41), ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

